საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საზოგადოება მოატყუა

(ინტერპრესნიუსი) ეკონომიკის ექსპერტის ლადო პაპავას აზრით, ევროობლიგაციების საკითხთან დაკავშირებით ახალი მოწვევის პარლამენტმა მთავრობის ნდობის საკითხი უნდა დააყენოს, რადგან საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საზოგადოება მოატყუა. „თებერვალში, როდესაც ევროობლიგაციებზე იყო საუბარი და პრემიერი სატელევიზიო გადაცემა „პრაიმ-ტაიმში" გამოდიოდა, მაშინ მან აღნიშნა, რომ ევროობლიგაციების ემისიის შედეგად მიღებული თანხა ენერგეტიკულ პროექტებს მოხმარდებოდა. შემდეგ პარლამენტში „მომავალი თაობების" ფონდზე ფინანსთა მინისტრმა ისაუბრა, მოგვიანებით კი ენერგეტიკულ პროექტებზე ენერგეტიკის მინისტრი გვესაუბრა. ბოლო-ბოლო სად მიდის ეს ფული. გაურკვეველია, რომელ ერთს უნდა დავუჯეროთ. ვფიქრობ, რომ ეს საკმარისი საფუძველია იმისთვის, რომ ახალმა პარლამენტმა მთავრობის ნდობის საკითხი დააყენოს", – განაცხადა პაპავამ. მისი თქმით, ჩანს, რომ მთავრობა ენერგეტიკაში ფულის ჩადებას არც აპირებდა და ყველაფერი პიარისთვის იყო ნათქვამი.

„საგარეო ვალის შესახებ საქართველოს კანონში, რომელშიც გაზაფხულზე ცვლილება შევიდა, გაჩნდა ევროობლიგაციების შესახებ ჩანაწერი. იქვე გარდამავალ დებულებაში მიწერილია, რომ ეს ჩანაწერი 2008 წლის განმავლობაში არ მოქმედებს. ანუ 2008 წლის განმავლობაში მთავრობა რას უპირებს აღნიშნულ თანხებს, ამის შესახებ ინფორმაციას ჩვენ ვერ მივიღებთ ვერასდროს, რადგან კანონი მთავრობას აძლევს

უფლებას, ეს ინფორმაცია არ გახადოს საჯარო. რისთვის აკიდა მთავრობამ ქვეყანას ამხელა ვალი და რაში აპირებს ამის დახარჯვას, უცნობია. მით უფრო, რომ ეს ვალი საქართველოს მოსახლეობის, გადასახადის გადამხდელის გასასტუმრებელი იქნება. ჩვენ გვაქვს უფლება, ვიცოდეთ, რატომ აკიდა ქვეყანას მთავრობამ ახალი 500 მლნ დოლარის ვალი", – აღნიშნა ლადო პაპავამ.

არსებული ინფორმაციით, ევროობლიგაციების ლონდონის ბირჟაზე განთავსების შედეგად მიღებული 500 მლნ დოლარიდან 150 მლნ დოლარის ეკვივალენტი ლარებში „მომავალი თაობების ფონდში", ხოლო 100 მლნ დოლარის ეკვივალენტი „სტაბილური განვითარების ფონდში" გადაირიცხება. ევროობლიგაციების ემისიის შედეგად მობილიზებული თანხიდან დარჩენილი 250 მლნ აშშ დოლარის გადანაწილების საკითხს მთავრობა ახლო მომავალში განიხილავს.